5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება მდებარეობს ქალაქ ქუთაისში, წმინდა ნინოს ქუჩა N2-ში. 2006 წლის 22 ივნისიდან სარგებლობის უფლებით სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 4580 კვ.მ. ფართი, მასზე არსებული 2 სართულიანი შენობა-ნაგებობით, რომლის პირველ სართულზე განთავსებულია: კვების ბლოკი (სასკოლო ბუფეტი), სპორტული დარბაზი, ცეკვის დარბაზი, 19 საკლასო ოთახი და 4 სველი წერტილი, მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ოთახი, ქიმიის ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, 19 საკლასო ოთახი და 4 სველი წერტილი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ინვენტარი და კომპიუტერული ოთახი, რომელშიც განთავსებულია 18 კომპიუტერი, 2 პროექტორი; პროექტორის 3 ეკრანი, 5 ცალი პრინტერი. ყველა კომპიუტერს მიეწოდება ინტერნეტი. სკოლის ეზოში მოწყობილია 180 კვ.მ.-ის სპორტული მოედანი. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია წიგნადი ფონდი, პერიოდიკა და მოწყობილია სამკითხველო სივრცე. სკოლის შენობა თბება ცენტრალური გათბობით და მიეწოდება ელექტრო ენერგია. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შინაგანაწესის, დასაქმებულებთან, მოსწვალეების მშობლებთან გაფორმებული საგანამანთლებლო მომსახურების ხელშეკრულების, სხვადასხვა სივრცეების (ლაბორატორია, სპორტული დარბაზი და მოედანი, კომპიუტერული ოთახი) გამოყენების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

განრიგის შინაარსისა და შენობა-ნაგებობის ვიზუალური დათვალიერების მიხედვით სასკოლო საზოგადეობის წევრებს ეძლევათ საშუალება საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენონ დაწესებულების ინფრასტრუქტურა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის შინაგანაწესის, დასაქმებულებთან, მოსწვალეების მშობლებთან გაფორმებული საგანამანთლებლო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსისა და შენობა-ნაგებობის ვიზუალური დათვალიერების მიხედვით ხელი შეეწყობა სწავლების ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს შშმ პირების კიბეებზე გადაადგილების ხელშემწყობი პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილი. სსსმ მოსწავლეებისათვის გამოყოფილია 2 რესურსოთახი. ადმინისტრაციული ოთახები, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და მეორე სართულის ჰოლი მოწყობილია საკომუნიკაციო და თანამშრომლობითი მიზნებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმითა და სკოლის შენობა-ნაგებობაში მატერიალური რესურსის გამოყენების განრიგებით ხელი ეწყობა სპორტული დარბაზების, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ოთახის, სააქტო დარბაზისა თუ სკოლის სხვა საერთო სივრცეების სოციო-კულტურულ სივრცეებად გარდაქმნას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ფოტო მასალითა და ჩატარებული გასაუბრებით დგინდება, რომ აღნიშნულ სივრცეებში აქტიურად სპორტული და შემეცნებითი საგანმანათლებლო აქტივობები, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები, მოსწავლეების მშობლები და მოწვეული სტუმრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა, რომელიც აღრიცხული და დამუშავებულია სკოლის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში დაცული ბეჭდური ფორმულარების მიხედვით, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობენ მოსწვალეები და სკოლის თანამშრომლები. სამასწავლებლოსა და სკოლის სხვადასხვა ოთახებში ვხვდებით საგანმანათლებლო რესურსებსა და თვალსაჩინოებებს. შენობა-ნაგებობაში ორცვლიანი სწვალების რეჟიმიდან გამომდინარე, ერთ კლასში დღის სხვადასხვა მონაკვეთში ორ კლასს უწევს საგანმანათლებლო მომსახურების მიღება. აღნიშნული კლასების მოწყობისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისუბურებების სპეციფიკა და კლასის სწავლების მიზნები. ლაბორატორიული ინვენტარი და კომპიტერული ტექნოლოგიები ემსახურება საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- დირექტორის ბრძანება ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის შესახებ;
- ინვენტარიზაციის აქტი;
- ბრძანება ინვენტარიზაციის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის რეგისტრაციის ჟურნალი;
- ანბანური საძიებო კატალოგი;
- გაფორმებული ხელშეკრულება პერიოდიკის მიწოდების შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესისა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ სკოლის კომპიუტერულ და ადმინისტრცაიულ ოთახებში განთავსებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკა. სკოლას მიეწოდება ინტერნეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ფოტო მასალა და სკოლის პერსონალთან გასაუბრება ადასტურებს აღნიშნული სივრცეების გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ, მასწავლებლების განმარტებით სასკოლო ჟურნალის შევსებისა და დოკუმენტაციის წარმოებისთვის, ისე რომ საგაკვეთილო პროცესს ხელი არ შეეშალოს იყენებენ სკოლის კომიუტერების ოთახს. საჭიროების შემთვევაში კი ტექნიკური ხარვეზის წარმოქმნისას მათ აქტიურად ეხმარებათ სკოლის IT მენეჯერი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ინვენტარიზაციის აქტი;
- მოხმარებული ინტერნეტის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კომპიუტერული ოთახის გამოყენების განრიგი;
- ვიზუალური დათვალირება.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ჰყავს საქმეთა მმართველის პოზიციაზე დასაქმებული პირი. საქმისწარმოება მომდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად, რისთვისაც სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ებმება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით აკინძულია და ინახება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვის პროცესში ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, მართვის საინფორმაციო სისტემები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი, ხოლო შემოსული და გასული დოკუმენტაციის, სკოლის დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციისათვის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში - eschool - სკოლისათვის გამოყოფილი ყველა სივრცე შევსებულია შესაბამისი ინფორმაციით. ინფორმაციის განთავსება ხდება დადგენილი წესითა და ვადებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. e-flow-ს, eschool-ის, სკოლის ელექტრონული ფოსტის, გასული და შემოსული დოკუმენტაციის შესწავლით იღებული ინფორმაციის მიხედვით, სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან და დროულად, დადგენილ ვადაში აწვდის შესაბამის ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანების რეგისტრაციის წიგნები;
- შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის წიგნები;
- ბუღალტრული აღრიცხვის წიგნები;
- ბუღალტერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- საქმისმწარმოებლთან გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

- გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის წიგნები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- e-flow-ს გვერდი;
- eschool-ის გვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიუხედავად იმისა რომ სკოლას არ აქვს ოფიციალური ვებ გვერდი, სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებისათვის აქტიურად გამოიყენება სოციალურ ქსელების დახურული ჯგუფები და ე.წ. ჩათები, სატელეფონო კავშირები, ელექტრონულ ფოსტები, ელექტრონულ ჟურნალი (მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა განმავითარებელ კომენტარებისთვის) და შენობაში განთავსებული საინფორმაციო დაფები.დაწესებულებამ 2023 წლის 16 აგვისტოს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა კორესპონდენცია, რომელზეც სხვა დოკუმენტებთან ერთად თანდართულია შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც ვებ. გვერდთან დაკავშირებით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები სსიპ - განათლების მათვის საინფორმაციო სისტემის ჩართულობით უნდა დასრულდეს 2023 წლის ნოემბრის თვეში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესისა და პროგრამების გასაცნობად, სკოლა იყენებს სოციალურ ქსელებს, სასკოლო საზოგადოების ელექტრონულ ფოსტებს, საინფორმაციო დაფებსა და თანამშრომლებთან, მშობლებთან თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებს. მაქსიმალური ყურადღება ექცევა გაცემული ინფორმაციის რეალისტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მიერ გამოყენებული საინფორმაციო არხებით მიღებული ინფორმაცია განიხილება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირებთან და იგეგმება პრევენციული ღონისძიებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს ახორციელებს ქართულ ენაზე. დაწესებულებას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას არ ჰქონდა ვებ გვერდი, თუმცა, ჰქონდა FACEBOOK გვერდი, სადაც საინფორმაციო ტექსტები განთავსებულია ქართულ ენაზე. დაწესებულებამ 2023 წლის 16 აგვისტოს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა კორესპონდენცია, რომელზეც სხვა დოკუმენტებთან ერთად თანდართულია შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც ვებ. გვერდთან დაკავშირებით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები სსიპ - განათლების მათვის საინფორმაციო სისტემის ჩართულობით უნდა დასრულდეს 2023 წლის ნოემბრის თვეში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლას არ აქვს ვებ გვერდი. დაწესებულებამ 2023 წლის 16 აგვისტოს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა კორესპონდენცია, რომელზეც სხვა დოკუმენტებთან ერთად თანდართულია შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც ვებ. გვერდთან დაკავშირებით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები სსიპ - განათლების მათვის საინფორმაციო სისტემის ჩართულობით უნდა დასრულდეს 2023 წლის ნოემბრის თვეში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შენობაში განთავსებული საინფორმაციო დაფები;
- სკოლის Facebook გვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი და ფინანსები მიზნობრივად ნაწილდება სახელფასო, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა თუ საჭირო საგანმათლებლო რესურსების შეძენის მიმართულებით. სკოლას აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავლები ფასიანი წრეებიდან და იჯარიდან. სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან არასდროს არ მოუთხოვია დამატებითი დაფინანსება. სკოლის თანამშრომელთა და მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით თითქმის ყოველ წელიწადს ხდება მათი სხვადასხვა ფორმით წახალისება. ყოველივე ეს ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. ეს პროცესი მიმდინარეობს კანონმდებლობის ყველა წესის დაცვით და ხდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება. ფინანსურ ანგარიშს დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო და თანხებს განკარგვა ხდება დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა მიღება–ჩაბარების აქტი) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____
_____
_____
_____
_____

ანგარიში ფინანსურ საკითხებზე, რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. უზრუნველყოფილია სკოლის ბიუჯეტის ხელმისაწვდომობა დაინტერესებული მხარეებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი;
- სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____
_____
_____
_____
_____

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ სადამრიგებლო პროგრამაში განსაზღვრული დამრიგებლის ფუნქციების შინაარსი მოიცავს მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შესაბამის შინაარსს. სკოლა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ვალდებულებად იღებს მოსწავლის პერსონალური ინფორმაციისა და მისი კანონიერი უფლებების დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არსებული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციების შინაარსი გამჭვირვალეა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან მისი გაზიარების საშუალებებად სკოლა კლასის მოსწავლეების მშობელთა კრებებსა და შესაბამისი ტექსტების საინფორმაციო დაფებზე გამოკვრას მიიჩნევს. გარდა ამისა, სკოლის კლასების დამირგებლები და მასწავლებლები მზადყოფნას გამოთქვამენ დაინატარესებულ მხარეებს ყოველთვის მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც შემდეგი შინაარსისგან შედგება: ხელშეკრულების მხარეები; ხელშეკრულების საგანი; სკოლის საქმიანობა; მხარეთა უფლება-მოვალებები; მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

პერსონალური ინფორმაციის გამოყენება; სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები; ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი; დავის გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა; დამატებითი პირობები; მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. აღნიშნული მუხლების შინაარსი აღწერითია და გასაგები ენითაა შემუშავებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შინაგანაწესითა და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (Eschool) ბაზის, პედაგოგიური საბჭოს ოქმების, შემოსული და გასული კორესპონდენციებისა და სკოლის დირექტორის ბრძანებების მიხედვით სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მიერ დაინტერესებული მხარეებისთვის შეთავაზებული საგანმანათლებლო მომსახურების სახეების (ქორეოგრაფიული და კალათბურთის წრე), პირობებია და მახასიათებლების შესახებ, ინფორმაცია ვრცელდება ღია კარის დღეებზე, გამოკრულია საინფორმაციო დაფებზე და გამოქვეყნებულია სკოლის Facebook გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის მირ დაგეგმილი საგანმანათლებლო კომსახურების ღია კარის დღეებს ატარებენ კონკრეტულად განსაზღვრული პირები. საინფორმაციო დაფებსა და სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია აღწერს მომსახურების პირობებს, დაცულია საკანონმდებლო მოთხოვნები და შეიცავს არადაისკრიმინაციულ შინაარსს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____
_____
_____
_____
_____

- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- Eschool-ის ბაზა;
- დირექტორის ბრძანება სკოლის წრეების შექმნის შესახებ;
- სკოლის საინფორმაციო დაფები;
- სკოლის Facebook გვერდი;
- მოსწავლეთან დაკავშირებით დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწვალის სკოლაში მობილობისას უნდა შეეწყოს მის ადაპტაციას ხელი. არსებული ტრადიციის მიხედვით ახალ მოსწავლის მიღება ხდება სკოლის დირექტორისა და დამრიგებელის მიერ, ამის შემდეგ წარდგენას კლასთან ახდენს დამრიგებელი, შემდეგ მოსწავლეს თავად კლასელები აცნობენ სასკოლო გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მოსწავლის ადაპტაციაზე ხელი უნდა შეუწყონ კლასის დამრიგებელმა და მასწავლებლებმა. მასწვალებლები გასაუბრებისას, მათ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად სკოლაში გადმოსული მოსწავლეების სკოლის მოსწავლეებთან დაახლოებას მიიჩნევენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. სასკოლო სასწავლო გეგმის (მოსწავლის შეფასების სისტემისა და სადამრიგებლო პროგრამის ნაწილი), მასწავლებლებთან და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით განსაზღვრულია მოსწავლისათვის აკადემიური მიღწევების მხარდაჭერის ვალდებულებები. სკოლის კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები გასაუბრებისას აქტიურად საუბრობენ მოსწავლეების აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებელი აქტივობების მნიშვნელობაზე სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შემოსული და გასული წერილების შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან გასაუბრების მიხედვით, სკოლა გონივრულ და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ახდენს რეაგირებას მოსწავლეთა თვითმმართველობისა თუ მოსწავლის ინდივიდუალური მიმართვაზე, მოსწავლის მშობლის განცხადებასა თუ კლასის მშობლების ისეთ შეთავაზებებზე, რომელთა მიზანიც მოსწავლის/მოსწავლეების უფლებების რეალიზების ხელშეწყობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პერსონალთან გასაუბრების, სკოლის კედლებზე გამოფენილი და საავტორიზაციო განაცხადში წარმოდგენილი ფოტო მასალის მიხედვით, სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებასა და არაფორმალური განათლების ელემენტების ჩართვას ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული აქტივობები თემატიკით შეესაბამება სკოლის ასაკობრივ ჯგუფებს. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ჩამოყალიბებული კლუბების ფუნქციონირებას. ჩამოყალიბებულია მდგრადი განვითარების კლუბი. ხორციელდება ტრადიციული და თემატური პროექტები. მაგ.: პროექტი ჩემი ქუთაისი. სკოლას პერიოდულად სტუმრობენ სხვადასხვა სფეროს ცნობადი სახეები. გაფორმებულია საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისი მემორანდუმები საგანამანთლებლო, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის შინაგანაწესით, მასწავლებლებთან და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსები აკეთებს დაშვებას სხვადასხვა ინიციატივის წარმოდგენის შესახებ. კლასის დამრიგებლების მიერ ჩატარებულ მშობელთა კრებებსა თუ სკოლის მიერ ორგანიზებულ ღია კარის დღეებზე შეგროვებული ინფორმაციის განხილვის შემდეგ იგეგმება და ხორციელდება მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროების შესაბამისი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლის სადამრიგებლო პროგრამა;
- დირექტორის ბრძანება სკოლის წრეების შექმნის შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება სასკოლო კლუბის შექმნის შესახებ;
- სკოლის საინფორმაციო დაფები;
- სკოლის Facebook გვერდი;
- სხვადასხვა ღონისძიებების გეგმები;
- სხვადასხვა ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალა;
- ვიზუალური დათვალიერება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ითვალისწინებს მის ძირითად მიმართულებებს, მორგებულია სკოლის საჭიროებებზე, ეყრდნობა სასკოლო კულტურას, ხელს უწყობს მის გაძლიერებასა და განვითარებას. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების დოკუმენტებში ინტეგრირებულია მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის გეგმაც. ღონისძიებებიც მოიაზრებს სასკოლო თემის ჩართულობას სასწავლო პროცესში, აქტივობა „მშობელი გაკვეთილზე“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე აქტივობა „მეცნიერი გაკვეთილზე“, ასევე ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და სიყვარულის გაღვივებას, მშობლიური ქალაქის მიმართ საკუთარი მოვალეობების გაცნობიერებას(პროექტი „ჩემი ქუთაისი“). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში არსებული კარიერული განვითარების სერვისი უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს და ამავდროულად უზრუნველყოფს კარიერული განვითარების პროგრამის შემუშავების პროცესში მოსწავლეების მშობლების ან/და კანონიერ წარმომადგენლების ჩართულობას. მაგალითად, სკოლა დამრიგებლების მეშვეობით აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების სწორად გაცნობიერებაში და სამომავლო საქმიანობის არჩევაში. ამისათვის სკოლა მიმართავს სხვადასხვა აქტოვობებს. მაგალითად, სკოლაში დამკვიდრებულია პრაქტიკა „მშობელი გაკვეთილზე“, რომელიც მოიაზრებს სხვადასხვა პროფესიის მშეობელთა მიერ ერთი გაკვეთილის ჩატარებას საკუთარი საქმიანობის სფეროდან. ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს გაიცნონ სხვადასხვა პროფესიის სპეციფიკა და გაერკვნენ საკუთარ მისწრაფებებში. სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან. გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, თეატრებთან, ბოტანიკურ ბაღთან. ასევე ხორციელდება მუზეუმებთან, გალერეებთან, ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობა, ეწყობა გასვლითი ღონისძიებები და მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა სამსახურეობრივი სფეროს სპეციფიკას. აკაკი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის თემის წარმომადგენლები არიან ჩართული პროექტში „მეცნიერი გაკვეთილზე“, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტის სხვადასხვა დარგის მეცნიერები ატარებენ გაკვეთილებს, აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ დარგებს და მომხიბვლელს ხდიან ბავშვებისათვის ამა თუ იმ სპეციალობას. სკოლას ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები და აცნობენ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამებს, ფაკულტეტებს, სპეციალობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მოწვეულ სტუმრებთან შეხვედრების ამსახველი გეგმები და ფოტო მასალა;
- გაფორმებული მემორანდუმები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია სასწავლო წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება თითეული მოსწავლის ისგ ჯგუფები. ისგ ჯგუფის წევრები არიან: კლასის დამრიგებელი, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, ყველა იმ საგნის მასწავლებელი, რომელშიც მოსწავლე საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, სპეციალური მასწავლებელი (საჭიროების შემთხვევაში სპეციალური პირის ასისტენტი). ისგ ჯგუფის შეხვედრა წელიწადში მინიმუმ 4 -ჯერ იმართება. სსსმ მოსწავლის საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია რიგგარეშე შეხვედრაც დაიგეგმოს, სადაც განიხილება მოსწავლის მიღწევის პროგრესი და მუშავდება არსებული გამოწვევის დასაძლევად სტრატეგიები. სპეციალური მასწავლებელი მოსწავლესთან მუშაობს წინასწარ შედგენილი გრაფიკით კოგნიტურ, სოციალურ, ემოციურ და აკადემიურური უნარების გავითარებაზე. სსსმ მოსწავლეებისთვის დგება თითოეულზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლებსაც სპეციალური და სხვა საგნის მასწავლებლებლები ერთობლივად ადგენენ. ისინი ეცნობიან მოსწავლეების შესახებ მულტიდისციპლინური გუნდის წერილობით დოკუმენტებს, გადიან კონსულტაციებს მშობლებთან, უშუალოდ აკვირდებიან მოსწავლეებს და არკვევენ, თუ რა სფეროები საჭიროებს გაუმჯობესებას და მოსწავლეების რომელი ძლიერი მხარეების გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი ამისთვის. ამის შემდეგ ხდება გრძელვადიანი (წლიური) მიზნების განსაზღვრა. ამ მიზნების მისაღწევად ისახება უფრო კონკრეტული მოკლევადიანი მიზნები. მოკლევადიანი მიზნები დალაგებულია განსაზღვრული თანმიმდევრობით მარტივიდან რთულისკენ, არის გაზომვადი და თითოეული მიზნის მისაღწევად გამოყოფილია ადეკვატური დროის ინტერვალი. ასევე ხდება სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა და სწავლების პროცესის სხვა დამატებითი საკითხების დაზუსტება: ვინ, როგორ და რა პერიოდულობით იმუშავებს მოსწავლესთან ერთად დასახული მიზნის მისაღწევად და სად განხორციელდება მუშაობა, სწავლების რა მეთოდები და აქტივობები იქნება გამოყენებული. მოსწავლეების შეფასება ხორციელდება მათ ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებთან მიმართებაში, იმის მიხედვით, მიაღწიეს თუ არა ბავშვებმა დასახულ კონკრეტულ შედეგს. სპეციალური მასწავლებელი ახორციელებს ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგს, ახდენს მოსწავლის ადვოკატირებას, მშობლის/მეურვის ინფორმირებულობას ნებისმიერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროებისას . მოსწავლეებს ამეცადინებს ინდივიდუალურად რესურსოთახში, საჭიროების შემთხვევაში ესწრება კლასში. ამავდროულად ახდენს რესურსების მოძიებას/ შექმნას მოსწავლის საჭიროებისამებრ. 2021–2022 სასწავლო წლის განმავლობაში ისგ ჯგუფის შეხვედრები თითოეულ მოსწავლესთან დაკავშირებით ჩატარდა შვიდჯერ, სადაც განიხილებოდა მოსწავლეთა პროგრესიც და სირთულეებიც. სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელებამ განაპირობა მოსწავლეების დადებითი შედეგები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა რამდენიმე მოსწავლესთან შეიცვალა, რადგან წარმატებით დაძლიეს მათზე მორგებული შესასწავლი მასალა. სკოლაში ყოველწლიურად ხდება ინკლუზიური განათლების განხორციელების მონიტორინგი და შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იწერება შესაბამისი დასკვნა. დეტალური ინფორმაცია ინკლუზიური განათლების პროცესის განხორციელების შესახებ მოცემულია თანდართულ ფაილებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო საზოგადოება ჩართულია სსსმ მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებასთან ინტეგრაციის პროცესში. მაგალითად, ადმინისტრაცია ჩართულია ინკლუზიური სწავლების ყველა მიმართულებაში. სკოლამ შექმნა სსსმ მოსწავლეებისთვის შესაფერისი სასწავლო გარემო, უზრუნველყო პანდუსითა და სველი წერტილით. რესურსოთახები მოაწყო საჭირო ინვენტარით და გაამდიდრა სასწავლო მასალით. სსსმ მოსწავლეებთან ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისათვის მან განსაზღვრა ისგ ჯგუფის შემადგენლობა და ყველა ეტაპზე აწარმოებს სწავლა–სწავლებისა და დოკუმენტაციის მონიტორინგს. საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს მშობლებთან/მეურვესთან კომუნიკაციას. სასწავლო პროცესი სსსმ მოსწავლეებისათვის არის მათ საჭიროებებზე მორგებული, შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მხრიდან. დამრიგებლები წინასწარ ამზადებენ კლასს სსსმ მოსწავლეების მისაღებად, სწორი დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად და ამ საკითხებზე ესაუბრებიან მშობლებსაც. ბავშვები და მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებს ეხმარებიან სკოლის გაცნობაში, კლასთან ადაპტირებაში. სასკოლო საზოგადოების ამგვარმა დამოკიდებულებამ და ჩართულობამ განაპირობა მოსწავლეების დადებითი შედეგები. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერას ემსახურება თანამშრომლობა მოსწავლის მშობელთან, სასკოლო საზოგადოებასთან, დღის ცენტრებთან, მასწავლებლის სახლთან, მულტიდისციპლინური გუნდის წევრებთან. სპეციალური მასწავლებელი ხელს უწყობს საგნის მასწავლებელს ისგ_ს შედგენაში, მოსწავლეზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმასა და განხრციელებაში. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექციის ორგანიზებით გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სსსმ მოსწავლის მშობლებთან, სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში მშობლის ეფექტური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

დირექციის მხადაჭერით, სსსმ მოსწავლის მშობლებს დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლიათ სკოლაში შემოსვლა.(მათ დაუმზადდათ საშვები) სასკოლოლ გარემოში სსსმ მოსწავლის მიერ თანაკლასელების და მასწავლებლების მიმართ აგრესიული და დამაზიანებელი ქცევის გამოვლენისას სპეციალური მასწავლებლის მიერ მოხდა სსსმ მოსწავლის ქცევის შეფასება. გამოწვევის დასაძლევად/შესამცირებლად სსსმ მოსწავლის მშობელს სპეციალურმა მასწავლებელმა ინფორმაცია მიაწოდა მასწავლებელთა სახლის ქცევის კონსულტანტის მომსახურების შესახებ. მშობლის წერილობითი თანხმობის შემდეგ სკოლის დირექციამ მასწავლებელთა სახლს წერილობით მიმართა სსსმ მოსწავლის აღნიშნულ მომსახურებაში ჩასართავად.(მიმდინარე პროცესია) ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სპეციალური მასწავლებლების ორგანიზებით იმართება შეხვედრა სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან, ასევე ეწოდებათ ვებინარების ჩანაწერი ლინკები, მატერიალურ მასალა. (მესენჯერ ჯგუფი). სასწავლო წლის ბოლოს ტარდება სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად მოხდა: ისგ ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება; ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელების შეფასება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან თანამშრომლობის ხარისხის შეფასება; მასწავლებლის საქმიანობის შეფასება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში; ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საქმიანობის შეფასება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში; დისტანციური სწავლის პერიოდში სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის შეფასება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლასწავლების პროცესში; დმინისტრაციის ჩართულობის შეფასება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის საჭირო ინვენტარის, ტექნიკის იდენტიფიცირება და შეფასება; სსსმ მოსწავლეების სწავლებისათვის სკოლის ბიუჯეტიდან განხორციელებული ხარჯების/აქტივობების აღწერა და შეფასება; შედეგად შემუშავდა შიდა მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაცია, რომლის განხორციელებაც სამომავლოდ დაიგეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სპეციალური მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინკლუზიური განათოების სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- რესურს ოთახები;
- ვიზუალური დათვალიერება.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბუფეტისთვის იჯარით გაცემულია 132,12 კვ.მ. ფართი. კვების ობიექტში დაცულია საჭირო წესი და ნორმა. სკოლის შემთხვევაში სერვისების შეთავაზება მოხდა მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე. ჩატარდა ტენდერი და გამარჯვებულმა კომპანიამ მოიპოვა სკოლაში საქმიანობის უფლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, დაინტერესებული პირებისთვის აწყობს ღია კარის დღეს, რომლის საშუალებითაც წარადგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას: მზაობას მოსწავლეთა მიღებისა და შემდგომი პროცესების თაობაზე. აწვდის ინფორმაციას სკოლაში არსებული წრეებისა და საფასურის შესახებ. სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვისა და კალათბურთის წრე. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია წრეების ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაბამისი პირობები; ფორმდება ხელშეკრულებები წრის მშობლებთან, არის ნებაყოფლობითი და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა თავაზობს ისეთ წრეობრივ მომსახურებას (ცეკვა და კალათბურთი) რომლის განხორციელებისთვისაც არ არსებობს უფლების მოპოვების ვალდებულება, მაგრამ გათვალისწინებულია უსაფრთხოების ყველა იმ ნორმის დაცვა, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

- ბუფეტთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლაში წრეების შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასკოლო წრეების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპების ნაწილის, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, საგნობრივი კათედრების ფუნქციებისა და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების ეტაპი თანამშრომლობითი პროცესია, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები, გათვალისწინებულია მშობელთა საერთო კრებებზე მშობლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მოსწავლეების ინიციატივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სასკოლო, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებით განსაზღვრულ სხვადასხვა საგანამათლებლო პროექტში გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ დადგენილი მოსწავლეთა საჭიროებები, მოსწვალეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და მოსწავლეთა ინეტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს ოქმების შინაარსის მიხედვით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საფეხურის მასწავლებლები, საფეხურის მოსწავლეების მშობლები და მოსწავლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივებების შესახებ მოსწვალეების მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ კლასის მშობელთან საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად სადამრიგებლო პროგრამიტ გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობეივი კათედრების ფუნქციები;
- საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სადამრიგებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწყებითი საფეხური - სახელმწიფო ენა (ქართული ენა და ლიტერატურა)

1. დაწყებითი საფეხურის ქართული ენის კათედრის მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება. ახალი სასწავლი წლისთვის კათედრამ უკვე შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის, სადაც გაწერილია გრძელვადიანი მიზანი-სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები. თუმცა, სტანდარტით გათვალისწინებულია, რომ ყველა თემის ფარგლებში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, ეს არ ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში, აქვე, გათვალისწინებული არ არის ყველა სავალდებულო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თემა, ყველა თემაზე შემდგომ კომპლექსური დავალება, თუმცა მათი შევსება და სრულყოფა იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. არსებული კომპლექსური დავალებებითა და კომპლექსური დავალების ბარათებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გლობალურ-ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილია მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკა, რომელსაც, როგორც აღნიშნავენ, იყენებენ გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურების ხელშესაწყობად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კურიკულუმში შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, როგორც კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, მოსწავლეებს სთავაზობენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდს „სასწავლო მენიუს“. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რესურსები, მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები, სასკოლო სასწავლო გეგმაში ხაზგასმითაა აღნიშნული ინკლუზიური განათლების მეთოდოლოგიის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ცხრილი, ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სახელმწიფო ენის შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ საგაკვეთილო პროცესს. ეს კარგად ჩანს კათედრის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილების გეგმებიდან, მესამე კლასის კომპლექსური დავალების მატრიცა, მეხუთე-მეექვსე კლასების კურიკულუმები ცხადყოფს, როგორ გაითვალისწინება მოსწავლეთა მზაობა და როგორ იგება შემდგომი ცოდნა. დიაგნოსტიკაზე დაფუძნებული სწავლება სკოლის ხედვის დოკუმენტშია გაწერილი, რაც გულისხმობს წინარე გამოცდილების მაგალითზე სასწავლო პროცესის დანერგვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხური - მათემატიკა

1. მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვისა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში, კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებით საფეხურზე, მათემატიკაში, კურიკულუმი მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია , მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მაგალითად, „გონიერი რობოტუნები“ დავალების შესრულებისას გამოიკვეთება მოსწავლეების კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, რეალური პრობლემების გადაწყვეტა, ეფექტური კომუნიკაცია, შეძლებენ ცოდნის კონსტრუირებას და ისტ-ის გამოყენებას. პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოჩნდა, რომ ისინი ამისთვის კოორდინირებულად მუშაობენ პარალელურ კლასებში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეიმუშავებენ ერთობლივ ხედვებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ატარებენ საჩვენებელ, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რასაც ასევე მეტი შემართებით გააგრძელებენ მომდევნო კურიკულუმების კიდევ უფრო დასახვეწად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. აღნიშნული საფეხურის მასწავლებლები პირველ რიგში ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და მსგავსი სტრატეგიებით, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა დიფერენცირებულ მიდგომაზე ორიენტირებული გაკვეთილების ციკლი, რომელსაც პირველ რიგში ახორციელებენ სკოლის ლიდერი მასწავლებლები და გამოცდილების გაზიარების შემდეგ მთელი კათედრა. ასევე სკოლის დოკუმენტაციიდან და მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან წარმატებული მუშაობისა, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. დაწყებით საფეხურზე სკოლაში დანერგილია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა. გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები(ელ. ჟურნალის კომენტარები).შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება კათედრაზე; პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ დაწყებთი საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. დაწყებით კლასებში . მოტივაციის გაზრდასა და შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება სკოლაში დაწესებული ყოველწლიური წამახალისებელი ჯილდო სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის (საუკეთესო მოსწავლე, მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, კურსდამთავრებული). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

5. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება წინარე გამოცდილებისა და გაანალიზების საფუძველზე. ამისათვის მათემატიკის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ იწერება განხორციელებული სამუშაოების ანალიზი, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, იქმნება კათედრების ანგარიშები მიღწეული შედეგების შესახებ, ხორციელდება მიღწევების დონის მონიტორინგი, ძლიერი მხარეებისა და პრობლემების გამოკვეთა, მათი დაძლევის გზების დასახვა. ყოველივე ამის გათვალისწინებით დაწყებითი გამოკვეთს პრიორიტეტებს, გეგმავს სასკოლო აქტივობებს. ეს ყველაფერი გამმოიკვეთა როგორც სკოლის დოკუმენტაციაში, ასევე მათთან ინტერვიუს დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხური - უცხოური ენები (ინგლისური და რუსული ენები)

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც. მაგ., ინგლისური ენის მე-4, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში გვხვდება უზუსტობები ცნებების ჩამონათვალში (სამიზნე ცნება **ტექსტის** მაგივრად წარმოდგენილია **ჟანრის** ცნება). რიგ შემთხვევებში არ არის ან საჭიროებს დაზუსტებას ჩარჩოში წარმოდგენილი სავალდებულო კომპონენტები. მაგალითად, რუსული ენა, მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში არ ჩანს კონტექტ-მაგალითები, შესაბამისად რთულია შეაფასო როგორ გეგმავენ სასწავლო პროცესს ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად. ასევე, სასურველია კონტექსტ - მაგალითები უფრო კონკრეტულად იყოს მითითებული, მაგ, სახელმძღვანელო, გვერდი, აქტივობა, რა ტიპის რესურსია: ტექსტი, სურათი, ვიდეორგოლი. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ გრძელვადიანი და შუალედური მიზნების არსი, იციან კომპლექსური დავალებების სტრუქტურა და მიზნები და აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმებით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. რეკომენდაციების საფუძველზე აპირებენ მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ კურიკულუმის ჩარჩოების კორექტირებასა და სრულყოფაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდგეგმებით სხვადასხვა საგნებში. გარდა ამისა, აღნიშნეს, რომ აქვთ სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრაქტიკა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. მათ აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენის კათედრა აწარმოებს შეფასებას (მე-5 და მე-6 კლასებისთვის დაწყებით საფეხურზე) სხვადსხვა განმსაზღვრელი რუბრიკების საშუალებით, მაგ. საკლასო შეფასება, გაკვეთილში ჩართულობა და სხვ.დაწყებით საფეხურზე ძირითადად ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება. ასევე გამოიკვეთა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, სამიზნე ცნებებზე და შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებზე ორიენტირებული რუბრიკების საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. სკოლას აქვს კათედრების კონფერენციის პრაქტიკა, სადაც წარმოადგენენ განვლილი სასწავლო წლის რეფლექსიებს, აზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხური - საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო), რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, იყო მოსწავლეზე ორიენტირებული. კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა შესაძლებლობიდან არის გამომდინარე. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმებში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვები, რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება ყველა სამიზნე ცნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ვინაიდან სკოლა არ ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს, კურიკულუმი წარმოდგენილია იდეების დონეზე. თუმცა ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან მიმართებით. მასწავლებლებს აქვთ მზაობა ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შესაქმნელად. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრაზე არის გამოცდილება განმავითარებელი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნის. თუმცა სამიზნე ცნებებთან მიმართებით თითოეული თემის ფარგლებში მოდევნო სასწავლო წლისათვის შექმნიან ყველა შეფასების რუბრიკას, რომელიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზს, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე ცოდნის დაყრდნობით. მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. შემუშავებულია შესაბამისი საგნობრივი კათედრის წევრების ჩართულობით სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. მართალია, კურიკულუმს ამ ეტაპზე საბოლოო სახე არ აქვს, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისა და მათ მიერ წარმოდგენილი ნიმუშების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა პროცესი დაგეგმონ, როგორც მოსწვალეზე ორიენტირებული მიდგომის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმში ჩაშენებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გძრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და მაკროცნებები. გეგმა ორიენტორებულია მოსწავლეთა გლობალურ-ფუნქციური უნარებზე, რაც დასტურდება სკოლის მიერ დაგეგმლი და უკვე განხორციელებულ საკლასო თუ სასკოლო აქტივობებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც კარგად ჩანს მოსწავლეების მიერ წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში. სკოლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებს ემსახურებათ ორი სპეციალური მასწავლებელი. სკოლას აქვს შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი სივრცე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწყებითი საფეხურზე, შესაბამის კლასებში, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ და განსმსაზღველ შეფასებას. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს, რომ შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს , რაც დასტურდება მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ, კათედრაზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი, დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის ანგარიშები, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ სკოლა მომავალი წლის საბაზო საფეხურის სასწავლო კურიკულუმს შეიმუშავებს გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხური - ტექნოლოგიები

1. კურიკულუმში გაწერილია მიმართულებები, სამიზნე ცნებები, საკითხები. კომპლექსური დავალებისიდეები აძლევს შესაძლებლობას მოსწავლეს შესასწავლი საკითხი დააკავშიროს შემდგომში საკუთარ გამოცდილებასთან. თუმცა არ არის დაფარული ყველა საკითხი 2-6 კლასების ჩათვლით საფეხურებრივად, რაც მოეთხოვება მასწავლებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სამიზნე ცნებები და საკითხები მეორედება კლასებისმიხედვით, რაც იძლევა საკითხის გრძელვადიან პერსპექტივაში შესწავლის საშუალების მხარდაჭერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის შვიდწლიან გეგმაში გაწერილია სკოლის ადაპტირებისთვის საჭირო სამუშაოების წარმოება სსსმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად, სასკოლოსასწავლო გეგმაში გაწერილია პროცედურები და ქმედეები, რაც უნდა განხორციელოს პედაგოგმა ინკლუზიური სწავლების მიმართულებით , დიფერენცირებული მიდგომების შესახებ არა წარმოდგენილი ვრცელი დოკუმენტაცია. საუბარია დამატებით დროის გამოყოფაზე მოსწავლეთატის, რომელსაც სირთულეები აქვთ სწავლასთან დაკავშირებით, რაც გაწერილია ინკლუზიური სწავლების მუხლში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლამ დამატებით წარდმოადგინა დოკუმენტაცია განმავითარელ და განმსაზღვრელ შეფასებაზე. განაცხადის წარმოდგენის პირველ ეტაპზე სკოლას ეს დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წარმოდგენილია შემაჯამებლის ანალიზის ნიმუში, რაც იძლევა საშუალებას დავასკნათ, ხდება კორექტირების შეტანა სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწყებითი საფეხური - ესთეტიკური აღზრდა

1. დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი წლიური პროექტი ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სავალდებულო თემები,თემატური ბლოკები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია სწორად. ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებასაკენ , რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის თანახმად დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვის დოკუმენტში ასახულია ხელოვნების და მუსიკის საგნის მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე ორიენტირება, ასევე წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც ხელოვნების პედაგოგი გეგმავს და ახორციელებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობას გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად /მოსწავლეთა სოციალიზაციის, შემწყნარებლობის უნარისა და პროსოციალური ქცევების გამომუშავებაზე ზრუნვას/ შესაბამის სტრატეგიებს და მიდგომებს გამოყენებას ამ მიზნების მისაღწევად; სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური გეგმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

შემუშავება. პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების და განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. შემუშავებული აქვთ ინდგეგმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის ქოუჩინგის საბოლოო ოქმში წარმოადგენილია ინფორმაცია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შესახებ. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში, ავტორიზაციის განაცხადის ეტაპზე მოხერხდა განმსაზრვრელი შეფასების რამდენიმე რუბრიკის შემუშავება, ხოლო 2023 წლის სექტემბრამდე იგეგმება თითოეული თემატური ბლოკისთვის განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკების შექმნა. განმსაზღვრელი მოიცავს მე-5კლ მე-2 სემესტრს და მე-6 კლასის სრულ სასწავლო წელს, შეფასების რუბრიკა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს და ცდილობს უკუკავშირი მასზე დაფუძნებით განახორციელოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგეგმვას. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსჩინოა წინარე გამოცდილება, რაც წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხური - სპორტი

1. ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის დაგეგმილი კურიკულუმები ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლეების ინტერესებზე, 1-4 კლასში თემების შესწავლის დოზირების დაზუსტების შემდგომ, რომლის მზაობასაც გამოხატავს პედაგოგი, კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ასახავს პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რომელიც ფიზიკური განვითარების, ორგანიზებულობის, თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზეა გათვლილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწყებითი კლასების კურიკულუმები, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, აგრეთვე კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლი ელექტრონული რესურსები, წარმოადგენს ე.ს.გ. სასწავლი გეგმის გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ-ქუთაისის-3 საჯარო სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს მოსწავლეების საჭიროებების შესწავლის პასუხისმგებელი პირები, მოსწავლეთა შეფასების და საჭიროებათა გაწერილი მექანიზმები, სკოლა წარმოდგენილი აქვს სსსმ მოსწავლის საგნობრივი შეფასება I სემესტრის ბოლოს და მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის ფორმა, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, ზემოდ აღნიშნული მომავალში სრულყოფს ყველა მოსწავლის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. 1-6 კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დართული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რომელიც წარმოადგინა სკოლამ, აგრეთვე ფიზიკური აღზრდის რესურს 12-ში დაგეგმილი შეფასების რუბრიკების მომზადების მზაობა საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ რომ, მომავალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეების ცოდნა შეფასდება ობიექტურად, მრავალმხრივად და ორიენტირებული იქნება მოსწავლის განვითარების პროცესისაკენ, რაც მოსწავლის გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის თვითშეფასებიდან და პედაგოგის ინტერვიუდა გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება წინარე ცოდნის გამოცდილებისა და გაანალიზების საფუძველზე, ამისათვის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ იწერება განხორციელებული სამუშაოების ანალიზი, იქმნება კათედრების ანგარიშები მიღწეული შედეგების შესახებ, ხორციელდება მიღწევების დონის მონიტორინგი, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზი და კეთდება უკუკავშირი, მომავალში სასურველია ეს ყველაფერი სკოლამ ასახოს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინდ სასწავლო გეგმები;
- მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწყებითი საფეხური - სახელმწიფო ენა (ქართული ენა და ლიტერატურა)

1. დაწყებითი საფეხურის ქართული ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება მოსწავლეთა შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათში შერჩეული თემები, საკითხთა კლასტერი, კონტექსტ მაგალითები, ცნებათა იერარქია, იქვე კომპლექსური დავალების განსახორციელებელი ნაბიჯები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. აღნიშნული პროცესების დასტურად ინტერვიუში მასწავლებელთა მიერ დასახელებული მაგალითებიცაა. ამ კუთხით მომავალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტი აქტივობები იგეგმება, 2023-24 სასწავლო წლისთვის შექმნილი და დანერგილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი ქართული ენის გაკვეთილების გეგმებიდან, სასწავლო პროექტებიდან ჩანს , როგორ გამოიყენება სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად. კომპლექსური დავალებები ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თემატური მატრიცები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. ქართული ენის კურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, განხორციელებული სასკოლო პროექტები, USAID-ის პროექტის ფარგლებში შესრულებული დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უყალიბებს მოსწავლეებს როგორც დეკლარაციულ, ისე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. ინტერვიუში მასწავლებლები ამ პროცესებზე ხაზგასმით საუბრობენ. სხვადასხვა პროექტებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობა მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიის ჩამოყალიბებაზე მეტყველებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. კურიკულუმებში წარმოდგენილი ცხრილები, მაორგანიზებელი სქემები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში გაწერილია ნაბიჯები , რომლებიც ეხმარება მოსწავლეს დააკავშიროს არსებული ცოდნა შეძენილთან, თუმცა ამ მიმართულებით, როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუში იკვეთება, მომავალი სასწავლო წლისთვის მეტია გასაკეთებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხური - მათემატიკა

1. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები, მათი ინიციატივების წახალისება და შეხედულებების გათვალისწინება. ამ მიზნით საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება კომპლექსური დავალებები. სკოლაში ხდება შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე ზრუნვა. ამ მიზანს ემსახურება სხვადასხვა ტიპის საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობები. ამ მიზნით უამრავი სასკოლო პროექტი ხორციელდება სკოლის ბაზაზე, რაზეც მეტყველებს არამარტო სკოლის დოკუმენტაცია, არამედ სკოლის ფეისბუქგვერდიც. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა -სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგილ საგნობრივ კურიკულუმში(**მათემატიკა)** კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება ასევე კონტექსტ მაგალითები, რომლებიც წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში, რაც გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მათემატიკის კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, საგნობრივ ოქმებში აფიქსირებს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე , შეგვიძლია დავასკვნათ ,რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; საგნობრივი კათადრების წევრები ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით შეიმუშავებენ კურიკულუმებს, ერთობლივ გეგმებს, უზიარებენ გამოცდილებას კათედრის შეხვდრებსა თუ მასწავლებელთა კონფერენციებზე. ტრადიციად იქცა კონფერენცია „მასწავლებელი მასწავლებელს“, რომლის ფარგლებში საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები წარმოადგეგენ მეთოდურ თუ საგნობრივ საკითხებს. რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ხდებოდეს მოწავლეების სამივე კატეგორიის ცოდნით აღჭურვა. ამ პროცესს ხელს უწყობს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები: პრაქტიკული სამუშაოები, ღონისძიებები და სხვა. ინტერვიუსას მათემატიკის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას . ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მე-5 და მე-6 კლასებშიც შეარჩევს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსურ დავალებებს და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ცოდნის ორგანიზებისთვის ტარდება შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებები. . სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს, რომ გეგმავენ დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხური - უცხოური ენები (ინგლისური და რუსული ენები)

1. წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის რეალიზება მიმართულია მოსწავლეზე ორიენტირებულ საგაკვეთილო პროცესზე, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან, სხვადასხვა საგნების კურიკულუმებში სასკოლო სახლმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის გარდა, წარმოდგენილია დამხმარე რესურსებისც. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. დაწყებითი საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმებში პროცესი მიმართულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, თუმცა არის მცირედი უზუსტობებიც. მაგ, მაგალითები შედარებისთვის-არ აქვთ მოყვანილი კონკრეტული რესურსები. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში ყველა საგანში არ იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. თუმცაღა, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრირება ყველა საგანში, მაგ, აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენონ თვითშეფასების რუბრიკები, სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობა. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ასეთებია მაგალითად, ინგლისური ენის მე-5 კლასის დავალება "წარმოიდგინე, რომ მოგზაურობ რომელიმე პოლუსზე, უდაბნოში, ან ტროპიკულ ტყეში და მეგობარს უგზავნი წერილს, რომლითაც აცნობ მოგზაურობისას ნანახს."

ამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური დავალებებს, რადგან კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა რომ მასწავლებლები ჩართული არიან etwinning პორტალზე, სადაც ევროპის ქვეყნებთან ერთად ახორციელებენ სასწავლო პროექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხური - საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; მასწავლებლებმა კარგად იციან მოსწავლეთა შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, თუმცა არის მზაობა კომპლექსური დავალებებით აქტიური სწავლების, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც არის წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. რაც გამოიკვეთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალბების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. დაწყებით საფეხურზე, სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული საკლასო თუ სასკოლო აქტივობების ამსახველი დოკუმენტებიდან კარგად ჩანს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების, აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. რაც ასევე დასტურდება მასწავლებელთა პორტფოლიობებში ჩაშენებული მასალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში დაწყებით საფეხურზე დაგეგმილ კურიკულუმების მიხედვით მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაეხმარონ მოსწავლეებს ახალი ცოდნა დააშენონ წინარე გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3 დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები იყენებენ გაკვეთილზე თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებებს, რათა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი შედეგების შეფასება და გაუმჯობესების გზის დაგეგმვა. დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები მზაობას აცხადებენ ამ მიმართულებით გაიუმჯობესონ უნარები სკოლაში არსებული ადამიანური რესურსის საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მიერ განხორციელებული საკლასო და სასკოლო აქტივობების დამადასტურებელი მასალებში , ასევე საბუნებისმეტყველო სა განთა კურიკულუმში ჩაშენებული აქტივობებით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილების დამადასტურებელი მასალებიდან ჩანს, რომ საკლასო აქტივობები გათვლილია საგანთაშორის კავშირების დემონსტრირებაზე და ემსახურება მოსწავლეთა ცოდნის სისტემატიზაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხური - ტექნოლოგიები

1. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუში საშუალებას იძლევა შევაფასოთ რამდენად შემოქმედებითია სასწავლო პროცესი, მოსწავლეები კეთებით სწავლების ხელშემწყობი გარემოთი მუშაობენ. წინა წელს განხორციელებული დავალებების გადახედვით, გამოვლინდა, რომ სკოლაში მასწავლებელი აძლევდა საშუალებას შემოქმედებითად შეესრულებინათ დავალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. უშუალოდ ტექნოლოგიების საგნისთვის წარმოდგენილი დაკუმენტაციით ეს არ დგინდება, თუმცა შეილება ვივარაუთოდ, რომ სხვა წარმოდგენილ მასალებში, იკითხება კონსტრუქტივისტული მიდგომის მაგალითები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილ მასალებში, ტექნოლოგიების კურიკულუმში, სამიზნე ცნებებისთვის გაწერილი დავალებები განაწილებული კლასების მიხედვით, შემოთავაზებული საგნობრივი ოქმში დაგეგმილია შეფასების სიტემის გამოყენება მომავალში განმავითარებელი და განმსაზღვრელი მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წორმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმში, ჩანს, რომ სასწავლო პორცესში ხდება ცოდნის ორგანიზება, თემები გამომდინარეობს ცნებებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. კომპლექსურ დავლების იდეებში, მკაფიოდ არ ჩანს, როგორ ხდება ცოდნათა დაკავშირება, როგორ გეგმავს მასწავლებელი გავიდეს გამჭორლ კომპეტენციებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

დაწყებითი საფეხური - ესთეტიკური აღზრდა

1. ესთეტიკის კათედრა დაწყებით საფეხურზე გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა - სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას ცოდნა შეიძინოს ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიენტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი საგნებში სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალებების პირობებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ. მუსიკის საგანში განსაზღვრულია თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლქსურ დავალებამდე. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების I - VI კლასებში, მითითებული სავალდებულო თემატური ბლოკებით და მრავალფეროვანი თემებით, ასევე მუსიკის საგანში სავალდებულო თემებით ჩანს, რომ პროცესი იგეგმება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალებებით და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ესთეტიკის საგნების კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე - იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. კათედრის წევრებთან გასუბრების შედეგად, ეს მოცემულობა დაზუსტდა და შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით და აკმაყოფილებს **სტანდარტით** გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

4. ესთეტიკის კათედრის პედაგოგების მიერ დაწყებით საფეხურზე განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეების მონაწილეობა საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, რაც დაზუსტდა ინტერვიუს დროს, ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას და წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაწყებით საფეხურის ესთეტიკის საგნების კათედრის პედაგოგებმა ინტერვიურებისას იმსჯელეს რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება და შეუძლიათ დაეყრდნონ მომავალი წლის კურიკულუმის დაგეგმვისას ზაფხულის პერიოდში. მუსიკის საგანში თითქმის ყველა კლასში წარმოდგენილი კომპელქსური დავალებები მიემართება საგანთაშორის ინტეგრირებისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხური - სპორტი

1. სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და მაში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები ,ისევე როგორც 1-6 კლასებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეებთან ერთად მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ , რომ მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

4. სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. რომელიც ორიენტილებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინდ სასწავლო გეგმები;
- სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწყებითი საფეხური - სახელმწიფო ენა (ქართული ენა და ლიტერატურა)

1. აღნიშნული კათედრის მიერ წარმოდგენილია მიმდინარე წლის კურიკულუმები და ასევე დანართები, სადაც სასწავლო პროცესი მიმართულია გრძელვადიან მიზანზე, ასევე შექმნილია მომდევნო წლის კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც პროცესი გრძელვადიანი მიზნის ფარგლებშია წარმოდგენილია. აუცილებელია აღნიშნული ჩარჩოზე დაყრდნობით კომპლექსური დავალებების ჩამოყალიბება შესაბამისი აქტივობების მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ ქართული ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შუალედური(საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული კომპლექსური დავალებების სრული ნიმუშიდან (ინსტრუქციით) და განხორციელების ეტაპების დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ სასწავო წელს საგნობრივი კონტექსტები მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში შემუშავებული კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში, ასევე ჩანს კათედრების მიერ წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგთა რეფლექსიებში. სკოლა ახლა მუშაობს საჭიროებათა პაკეტის შემუშავებაზე, რომელიც იქნება მთავარი დასაყრდენი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის. სკოლა გეგმავს მისი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და ამ გამოცდილების გათვალისწინებით პასუხისმგებლობის გაზიარებას სასკოლო საზოგაოდების წევრებს შორის მის ყველა დონეზე: ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლას ჯერ არ აქვს სასკოლო კურიკულუმის რევიზირებული ვერსია, სადაც ასახულია მოსწავლეთა შედეგები საფეხურებისა და საგნების მიხედვით, ასევე არ იკვეთება სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემების ასახვა რაიმე სახით (ცხრილები, დიაგრამები, პრეზენტაციები), მაგრამ, სკოლაში არსებობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების (კომპლექსური დავალებები, სასწავლო თუ სასკოლო პროექტები) რეფლექსიები, გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება მასწავლებელთა ინტერვიუებითა და კათედრის ჩანაწერებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხურის კურიკულუმი**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპების ნაწილის, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, საგნობრივი კათედრების ფუნქციებისა და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების ეტაპი თანამშრომლობითი პროცესია, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები, გათვალისწინებულია მშობელთა საერთო კრებებზე მშობლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მოსწავლეების ინიციატივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმში სასკოლო, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებით განსაზღვრულ სხვადასხვა საგანმათლებლო პროექტში გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ დადგენილი მოსწავლეთა საჭიროებები, მოსწვალეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და მოსწავლეთა ინეტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს ოქმების შინაარსის მიხედვით საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საფეხურის მასწავლებლები, საფეხურის მოსწავლეების მშობლები და მოსწავლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივებების შესახებ მოსწვალეების მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ კლასის მშობელთან საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების ფუნქციები;
- საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სადამრიგებლო პროგრამა.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საშუალო საფეხური - სახელმწიფო ენა (ქართული ენა და ლიტერატურა)

1. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილია საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებიც ნათელყოფს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესს. კურიკულუმებში ერთი ან ორი თემის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები. კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემა, თუმცა ყველა თემაზე კომპლექსური ბუნების დავალებების შექმნა იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის პროექტში ვკითხულობთ: "კათედრაზე მწირია კურიკულუმთა გადამუშავებული ვერსიები, უმეტესი მათგანი კონკრეტულმა მასწავლებლებმა საკუთარი გამოცდილების და მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შექმნეს. სამომავლოდ ამ კუთხით ვიმუშავებთ აქტიურად." მასწავლებლებთან ინტერვიუშიც იკვეთება კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი, რათა შემუშავებული კურიკულუმები გახადონ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვიარების გზად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. არსებული კომპლექსური დავალებებიდან და კომპლექსური დავალების ბარათებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. შერჩეული კომპლექსური დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმებში, დავალებებში, მატრიცებსა და სასწავლო პროექტებში იკვეთება დიფერენცირებული ინკლუზიური მიდგომები. ინტერვიუში კათედრის წევრები საუბრობენ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ დიფერენცირებულ სწავლების მეთოდზე: ,,სასწავლო მენიუზე". 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო პროექტში გაწერილია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, აქვეა ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეთათვის მისაწოდებელი დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობები და პროექტები. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ვასკვნი, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორც საგაკვეთილო თემის შესაბამისად, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

მომავალი სასწავლო წლიდან განმავითარებელი შეფასება მოხდება კომპლექსური დავალებების შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. კათედრას აქვს შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. კურიკულუმების შექმნის მეთოდოლოგიიდან, წარმოდგენილი წინა წლისა და ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებიდან იკვეთება, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საშუალო საფეხური - მათემატიკა

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ეს გამოჩნდა შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში, რომელიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მართალია, საგან მათემატიკის მიმართულებით კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურის საგანი მათემატიკის კურიკულუმი მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მუშავდება ყველა თემა, თემის ფარგლებში - სამიზნე ცნებები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები მუშავდება ნაწილობრივ, კომპლექსური დავალებებით. მასწავლებლელთა აღნიშვნით, სრულად სამიზნე ცნებების დაფარვას გეგმავენ იმ საკითხებით, რომლებიც ამ ეტაპზე კურიკულუმში ასახული არ არის, რადგან კურუკულუმი დახვეწის პროცესშია. ამ ეტაპზე მათი შერჩეული კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია, მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, კონკრეტულად თუ რომელ გრძელვადიან მიზნებს და რომელი გლობალური ფუნქციური უნერები გამოუმუშავდებათ მათ მოსწავლეებს კურიკულუმში გაწერილ კომპლექსური დავალებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაასახელეს მაგალითები. მაგ: დავალება „სკოლის შენობის სიმაღლის დადგენა“შესწავლის დროს, მოსწავლეებს გამოუმაშავდებათ შემოქმედობითობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნების უნერები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება, ასევე აღნიშნეს კათედის წევრებმა, რომ მუშაბის პროცესში უწევთ დავალების ადაპტირება. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო გახდა პირობის გართულება და პირიქით, მაგალითად კომპლექსური დავალება, რომელიც მასწავლებელმა ჩაატარა პროცენტებზე, მოახდინა ადაპტირება და ზოგიერთ მოსწავლეს იგივე დავალება შესთვაზა ნაწილების შემთხვევაში, აქ ნათლად ჩანს, რომ კათედრა ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება მოახდინონ კომპლექსური დავალების ადაპტირება, მორგებული სსსმ მოსწავლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურის მასწავლებლებს მტკიცებულების სახით არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს თუ რა პრინციპით ხდება მათი შედგენა: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. ზოგადად სკოლაში დანერგილია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა. გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება კათედრაზე; პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ საშუალო საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება წინარე გამოცდილებისა და გაანალიზების საფუძველზე. სტრატეგიული დაგეგმარება ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ ანალიზს (SWOT ანალიზს), რომელიც მოიცავს შიდა და გარე ფაქტორების, სუსტი და ძლიერი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზებას. ამის გათვალისწინებით ხდება როგორც სტრატეგიული გეგმის, ისე სამოქმედო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

გეგმებისა და საფეხურის კურიკულუმების შემუშავება. ეს განაპირობებს იმას, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმი არის რეალისტური და ძირითადად მორგებული სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესებსა და საჭიროებებს. მასწავლებლების მიერ იწერება შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, იქმნება კათედრების ანგარიშები მიღწეული შედეგების შესახებ, ხორციელდება მიღწევების დონის მონიტორინგი, ხდება ოლიმპიადების, ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების, წლიური შეფასებების გაანალიზება, დახარისხება, სტატისტიკის შექმნა, ძლიერი მხარეებისა და პრობლემების გამოკვეთა, მათი დაძლევის გზების დასახვა. მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სამომავლო დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ არსებულ გამოცდილებას და ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საშუალო საფეხური - უცხოური ენები (ინგლისური და რუსული ენები)

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც. მაგ., საშუალო საფეხურის კურიკულუმებში არ არის ორგანიზებულად მოცემული სამიზნე ცნებები და შესაბამისი ქვეცნებები. რიგ შემთხვევებში არ არის ან საჭიროებს დაზუსტებას ჩარჩოში წარმოდგენილი სავალდებულო კომპონენტები. მაგ, სასურველია კონტექსტ - მაგალითები უფრო კონკრეტულად იყოს მითითებული, მაგ, სახელმძღვანელო, გვერდი, აქტივობა, რა ტიპის რესურსია: ტექსტი, სურათი, ვიდეორგოლი. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ გრძელვადიანი და შუალედური მიზნების არსი, იციან კომპლექსური დავალებების სტრუქტურა და მიზნები და აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმებით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. რეკომენდაციების საფუძველზე აპირებენ მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ კურიკულუმის ჩარჩოების კორექტირებასა და სრულყოფაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საშუალო საფეხურის საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდგეგმებით სხვადასხვა საგნებში. გარდა ამისა, აღნიშნეს, რომ აქვთ სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრაქტიკა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. მათ აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი (განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელისთვის) და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენის კათედრა შეფასებას აწარმოებს სხვადსხვა განმსაზღვრელი რუბრიკების საშუალებით, მაგ. საკლასო შეფასება, გაკვეთილში ჩართულობა და სხვ. აწარმოებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. ასევე გამოიკვეთა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, სამიზნე ცნებებზე და შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებზე ორიენტირებული რუბრიკების საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას აქვს კათედრების კონფერენციის პრაქტიკა, სადაც წარმოადგენენ განვლილი სასწავლო წლის რეფლექსიებს, აზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხური - საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, ქმნის წარმოდეგნას, თუ რა მასალებზე დაყრდნობით, რა მეთოდების გამოყენებით აპირებენ საგნის სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული გრძელვადიან მიზნებზე გასვლას საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ფარგლებში. ამ ეტაპზე საშუალო საფეხურის მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩო შემუშავებული არაა, თუმცა კათედრასთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სახელმძღვანელოს დაბეჭდვასთან ერთად მოხდება კურიკულუმის შევსება სასწავლო წლის დაწყებამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. სკოლას აქვს საზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე ორიენტორების გამოცდილება, 2023-24 სასწ. წლისთვის შემუშავებულ კურიკულუემბში ხდება გრძელვადიან მიზნებზე ოროიენტირება, მაგალითად საშუალო საფეხურზე ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნების დაფარვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. მოსწავლეებისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებულია მათ შესაძლებლობებზე და ინტერესებზე მორგებული და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება მოახდინონ კომპლექსური დავალების ადაპტირება, მორგებული სსსმ მოსწავლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით,კათედრაზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებშიშემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საშუალო საფეხური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. შემუშავებულია შესაბამისი საგნობრივი კათედრის წევრების ჩართულობით სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. მართალია, კურიკულუმს ამ ეტაპზე საბოლოო სახე არ აქვს, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისა და მათ მიერ წარმოდგენილი ნიმუშების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა პროცესი დაგეგმონ, როგორც მოსწვალეზე ორიენტირებული მიდგომის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმში ჩაშენებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გძრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და მაკროცნებები. გეგმა ორიენტორებულია მოსწავლეთა გლობალურ-ფუნქციური უნარებზე, რაც დასტურდება სკოლის მიერ დაგეგმლი და უკვე განხორციელებულ საკლასო თუ სასკოლო აქტივობებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც კარგად ჩანს მოსწავლეების მიერ შესრულებულ დავალებებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საშუალო საფეხურზე, შესაბამის კლასებში, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ და განსმსაზღველ შეფასებას. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს, რომ შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს , რაც დასტურდება მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ, კათედრაზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი, საბუნებისმეტყველო კათედრის ანგარიშები, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ სკოლა მომავალი წლის საბაზო საფეხურის სასწავლო კურიკულუმს შეიმუშავებს გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საშუალო საფეხური - ესთეტიკური აღზრდა

1. ესთეტიკის კათედრაზე საშალო საფეხურზე მიმდინარეობს პროექტული სწავლება, რომელის ამ სასწავლო წლიდან დაინერგა. 2022 -2023 სასწავლო წელს პროექტული სწავლება მიმდინარეობდა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, შესაბამისად მომდევნო წელს პროექტული სწავლება მე-11 კლასში წარიმართება მუსიკის საგანში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემული თემები და პროექტები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი კურიუკულუმის ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებასა და შედეგზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და განსაზღვრავს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოახდინონ საგნის სამიზნე ცნებებისა და შედეგების დამუშავება. ამ გამოცდილებას მომდევნო სასწავლო წელს გაიზიარებს მუსიკის საგნის პედაგოგიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, რესურსები, პროექტული დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს მოსწავლის ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნების, სამიზნე ცნებებისა და შედეგების მიღწევისკენ. ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებასაკენ, ვინაიდან პორექტული სწავლება მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ყველა ამ უნარის არა მხოლოდ გააქტიურებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის თანახმად სსსმ მოსწავლეებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის იდენტური თემები და საკითხები. საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვის დოკუმენტი მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე ორიენტირდება, პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების და განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება მოახდინონ დავალებების ადაპტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმის დანართებში ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. როგორც აღვნიშენთ საშალო საფეხურზე ესთეტიკური საგნების პროექტული სწავლების გამოცდილება არ არსებობდა 2022-2023 სასწავლო წლამდე. თუმცა ახლა უკვე კოლეგები უზიარებენ განვლილი სასწავლო წლის გამოცდილებას.კურიკულუმის ჩარჩო აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსჩინოა გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საშუალო საფეხური - სპორტი

1. 10-12 კლასში დაგეგმილი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეების ინტერესებზე, კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ასახავს პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რომელიც ფიზიკური განვითარების, ორგანიზებულობის, თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზეა გათვლილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

2. სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმები, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, აგრეთვე კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლი ელექტრონული რესურსები, წარმოადგენს ე.ს.გ. სასწავლი გეგმის გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს მოსწავლეების საჭიროებების შესწავლის პასუხისმგებელი პირები, მოსწავლეთა შეფასების და საჭიროებათა გაწერილი მექანიზმები, სკოლა წარმოდგენილი აქვს სსსმ მოსწავლის საგნობრივი შეფასება I სემესტრის ბოლოს და მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის ფორმა, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, ზემოდ აღნიშნული მომავალში სრულყოფს ყველა მოსწავლის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დართული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რომელიც წარმოადგინა სკოლამ, აგრეთვე ფიზიკური აღზრდის რესურს 12-ში დაგეგმილი შეფასების რუბრიკების მომზადების მზაობა საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ რომ, მომავალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეების ცოდნა შეფასდება ობიექტურად, მრავალმხრივად და ორიენტირებული იქნება მოსწავლის განვითარების პროცესისაკენ, რაც მოსწავლის გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის თვით შეფასების ნარატივიდან და პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე სწავლა სწავლების პროცესში საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისასა მნიშვნელოვანია წარმატებული გამოცდილების გაზიარება. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება წინარე ცოდნის გამოცდილებისა და გაანალიზების საფუძველზე, ამისათვის საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ იწერება განხორციელებული სამუშაოების ანალიზი, იქმნება კათედრების ანგარიშები მიღწეული შედეგების შესახებ, ხორციელდება მიღწევების დონის მონიტორინგი,კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზი და კეთდება უკუკავშირი, მომავალში სასურველია ეს ყველაფერი სკოლამ ასახოს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინდ სასწავლო გეგმები;
- მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საშუალო საფეხური - სახელმწიფო ენა (ქართული ენა და ლიტერატურა)

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებები, სხვადასხვა აქტივობები, მოსწავლეების ჩართულობა სასკოლო თუ საგნობრივ პროექტებში გვაძლებს დასკვნის საშუალებას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურზე (მე-10კლ) წარმოდგენილია კურიკულუმში გაწერილი თემებისა და საკითხების თანმიმდევრობა, რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე ახლის დაშენების შესაძლებლობას. უკვე შექმნილ კომპლექსურ დავალებებში განსახორციელებელი ნაბიჯები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. აღნიშნული პროცესების დასტურად ინტერვიუში მასწავლებელთა მიერ დასახელებული მაგალითებიცაა. ამ კუთხით მომავალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტი აქტივობა იგეგმება, 2023-24 სასწავლო წლისთვის შექმნილი და დანერგილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

3. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად. კომპლექსური დავალებები და შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში შექმნილი კომპლექსური ბუნების დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. აღნიშნული საფეხურის კლასებში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებებიც გათვლილია, როგორც დეკლარატიულ, ისე პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მეათე კლასებისთვის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების სრულ ვერსიებში გაწერილია შუალედურ სასწავლო მიზნებთან მისასვლელი ნაბიჯები, რომლებიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას განაპირობებს. ხშირია არაფორმარულ გარემოში მოსწავლეთა ცოდნის გადატანა და ურთიერთდაკავშირებაც. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს საგანთა შორის ინტეგრაცია.ეს პროცესებიც ეხმარება მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საშუალო საფეხური - მათემატიკა

1. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს იმგვარად, რომ მოხდეს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე ზრუნვა. სკოლაში ხორციელდება არაერთი სასკოლო პროექტი, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. რაზეც მეტყველებს არამარტო სკოლის დოკუმენტაცია, არამედ სკოლის ფეისბუქგვერდიც. მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე. ინტერვიუს დროს კათედრამ ისაუბრა კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალებების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, სადაც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და თვითონ არის შემომქმედი ამ პროცესის. შესაბამისად სკოლა ამ ინდიკატორს აკმაყოფილებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა -სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგილ საგნობრივ კურიკულუმში(მათემატიკა) კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება; შესაბამისად სკოლა ამ ინდიკატორს აკმაყოფილებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე ზრუნვა, რათა მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა, სწავლის პროცესზე დაკვირვება და ადეკვატური შეფასება. ამისათვის გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები: თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები. ასევე მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს და უხსნიან მათ დანიშნულებას, რათა მომავალში დამოუკიდებლად შეძლონ მათი გამოყენება,. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი. მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება, მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. ამის შემდგომ ახდენს საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ხდებოდეს მოწავლეების სამივე კატეგორიის ცოდნით აღჭურვა. ამ პროცესს ხელს უწყობს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები: პროექტები, პრაქტიკული სამუშაოები; საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი დაგეგმილია იმგვარად , რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე . მაგალითად, კომპლექსური დავალება ,,სკოლის შენობის სიმაღლის დადგენა" განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ მოსწავლე ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს და უკვე იცის , როგორ შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს , საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

5. საწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლად ჩანს საგნობრივ კურიკულუმში.კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე , რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქცირი გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლებმა შეძლონ ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად კომპლექსური დავალებით ,,სკოლის შენობის სიმაღლის დადგენა “მოსწავლეები თვალნათლივ ხედავენ კავშირს ყოფით სიტუაციებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საშუალო საფეხური - უცხოური ენები (ინგლისური და რუსული ენები)

1. წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის რეალიზება მიმართულია მოსწავლეზე ორიენტირებულ საგაკვეთილო პროცესზე, საშუალო საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან, სხვადასხვა საგნების კურიკულუმებში სასკოლო სახლმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის გარდა, წარმოდგენილია დამხმარე რესურსებისც. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმებში პროცესი მიმართულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, თუმცა არის მცირედი უზუსტობებიც. მაგ, მაგალითები შედარებისთვის-არ აქვთ მოყვანილი კონკრეტული რესურსები. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში ყველა საგანში არ იკვეთება, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. თუმცაღა, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრირება ყველა საგანში, მაგ, აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენონ თვითშეფასების რუბრიკები, სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობა. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წამოდგენილი საშუალო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ასეთებია მაგალითად, ინგლისური ენის მე-5 კლასის დავალება "წარმოიდგინე, რომ მოგზაურობ რომელიმე პოლუსზე, უდაბნოში, ან ტროპიკულ ტყეში და მეგობარს უგზავნი წერილს, რომლითაც აცნობ მოგზაურობისას ნანახს." **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური დავალებებს, რადგან კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აწარმოოს. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა რომ მასწავლებლები ჩართული არიან etwinning პორტალზე, სადაც ევროპის ქვეყნებთან ერთად ახორციელებენ სასწავლო პროექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საშუალო საფეხური - საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იქნან სასწავლო პროცესში,მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, გასაუბრებისას კათედრის წევრები აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალბების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. საგნობრივ კურიკულუმში კათდრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება ასევე კონტექსტ მაგალითები, რომლებიც იშვიათად/ფრაგმენტულად მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში, გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ ,რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას . ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა საბაზო შეარჩევს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსურ დავალებებს და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები იგეგმება დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საშუალო საფეხური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. საშუალო საფეხურზე, სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული საკლასო თუ სასკოლო აქტივობების ამსახველი დოკუმენტებიდან კარგად ჩანს საბაზო საფეხურის მოსწავლეების, აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. რაც ასევე დასტურდება საბუნებისმეტყველო მასწავლებელთა პორთფოლიობებში ჩაშენებული მასალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში საშუალო საფეხურზე დაგეგმილ კურიკულუმებში, ასევე მასწავლებლების მიერ ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგიაში ჩატარებული ცდების ამსახველი მასალებით ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაეხმარონ მოსწავლეებს ახალი ცოდნა დააშენონ წინარე გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3 საშუალო საფეხურის მასწავლებლები იყენებენ გაკვეთილზე თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებებს, რათა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი შედეგების შეფასება და გაუმჯობესების გზის დაგეგმვა. საბაზო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები მზაობას აცხადებენ ამ მიმართულებით გაიუმჯობესონ უნარები სკოლაში არსებული ადამიანური რესურსის საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მიერ განხორციელებული საკლასო და სასკოლო აქტივობების დამადასტურებელი მასალებში , ასევე საბუნებისმეტყველო საგანთა კურიკულუმში ჩაშენებული აქტივობებით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. თუმცა, მასწავლებლები აცხადებენ, რომ პირობისეული ცოდნის მიღწევა საბაზო საფეხურზე, ჯერ კიდევ გამოწვევაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილების დამადასტურებელი მასალებიდან ჩანს, რომ საკლასო აქტივობები გათვლილია საგანთაშორის კავშირების დემონსტრირებაზე და ემსახურება მოსწავლეთა ცოდნის სისტემატიზაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საშუალო საფეხური - ესთეტიკური აღზრდა

1. წარმოდენილი პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩო განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა - ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით და ასევე შეიძნოს პროექტის წარმართვის გამოცდილება. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიეინტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების- შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის ჩარჩო აგებულია წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით და ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, ახდენს ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას და მიემართება გრძელვადიან მიზნების მიღწევისკენ. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია თემები, საკითხები, კონტექსტ-მაგალითი პროექტის იდეა/პირობა სამიზნე ცნება/ცნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე - ააგონ ცოდნა და კავშირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველდღიურ ცხოვრებასთან. იგივე აზრი მსჯელობით გამყარდა კათედრის წევრებთან გასუბრების შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კათედრის მიერ განხორციელებული და მომავალში დაგეგმილი პროექტები, მოსწავლეების მონაწილეობა საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. პროექტებში და საწრეო მუშაობაში, მსჯელობის, რეფლექსიის და ანალიზის უნარის გამოყენება ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. შესაბამისი ინფორმაცია იკითხება მასწავლებლის სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პედაგოგებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ კათედრაზე მუშაობა ყოველთვის ითვალისწინებს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილებას. შესაბამისად პროექტული წავლება ამას უფრო გააღრმავებს. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში ჩადებულია მიზანი, რომ მოხდეს საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა, საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საშუალო საფეხური - სპორტი

1. საგნის სპეციფიკიდან და მასწავლებლის გასაუბრებიდან გამომდინარე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა ნებისმიერი ფიზიკური აქტივობებისა და სასკოლო თუ საკლასო ფესტივალის ჩატარების პროცესში. თემები, რომელიც განსაზღვრულია კურუკულუმებში, ასევე ჩატარებული და დაგეგმილი სპორტული ღონისძიებები, სკოლის აქტიური მონაწილეობა რაიონულ და რეგიონულ სპორტულ აქტივობებში, ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესებს და მოტივაციას აძლევს მათ აქტიურად ჩაერთონ სწავლის შემოქმედებით პროცეში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. 10-12 კლასის საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებს , რომ მათზე მუშაობის პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. . დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

